ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2463329

ნომერი: AR1381623

თარიღი : 25.02.2016

გაცემის თარიღი : 02.03.2016

გაცნობის თარიღი : 02.03.2016

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თბილისის ზღვაზე , დიდ ყურესა და ზღვას შორის არესებული ნახევარკუნძული, (ნაკვ.1/59) ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კვიწინაშვილი პ/ნ 01006005364
- თბილისი დიღმის მას. VI კვ. კორ. 1 ბ. 9

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის ვებ-გვერდზე (tas.ge) თქვენი მოთხოვნა დარეგისტრირებულია არასწორი განაცხადის ველში.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურისსამსახურის მიერ განხილულ იქნა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ წითელ ხაზებში, მსუბუქი, 1,5 მ. სიმაღლის, ლითონის ბადის ღობის მოწყობის უფლებს

საკითხის განხილვის შედეგად გაცნობებთ, რომ ვინაიდან აღნიშნული ღობის მშენებლობა დაგეგმილი გაქვთ ტერიტორიაზე სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, მიერ 2016 წლის 19 თებერვლის N36 განკარგულებით მიღებულ იქნა დადებითი გადაწყვეტილება ქ. თბილისში, თბილისის ზღვაზე, დიდ ყურესა და ზღვას შორის მდებარე ნახევარკუნძულზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.12.21.001.220, N01.12.21.001.221) სპორტულ-გამაჯანსაღებელი სასტუმრო და დასასვენებლი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების თაობაზე, რომელშიც არ არის გათვალისწინებული ღობის მოწყობა შესაბამისად სამსახური ცალკე დამოუკიდებლად ვერ განიხილავს ტერიტორიაზე დროებითი ღობის განთავსების შესაძლებლობას, ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოები უნდა განხორციელდეს განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის მიხედვით.

ასევე გაცნობებთ მშენენლობის ეტაპზე ორგანიზების პროექტი, უსაფრთხოების მიზნით თავისთავად უნდა მოიცავდეს დროებითი სამშენებლო ღობის მოწყობას, რაც დამატებით ნებართვის გაცემას არ საჭიროებს, მაგრამ მისი მოწყობა შესაძლებელია მხოლოდ მშენებლობის ნებართვის მიღების შემდგომ და მისი განთავსება უნდა განხორციელდეს მშენებლობის ორგანიზების პროექტის გენ– გეგმის მიხედვით (დამკვეთი ვალდებულია სრული საპროექტო დოკუმენტაცია , მათ შორის მშენებლობის ორგანიზების პროექტი იქონიოს სამშენებლო მოედანზე) . ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით სამსახური ამ პროექტის მშენებლობის ნებართვის გაცემის სტადიისგან დამოუკიდებლად, როგორც I კლასის დროებითი ღობის მშენებლობაზე ვერ გასცემს შესაბამის წერილობით თანხმობას და მოკლებულია შესაძლებლობას დააკმაყოფილოს თქვენი მოთხოვნა.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.